შეთანხმება ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებაზე

ტერმინთა განმარტება:

ელექტრონული ხელმოწერა - ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის ხელმოსაწერად გამოიყენება.

ხელმოწერის ტაბლეტი - ოპერატორის კუთვნილი ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც იძლევა საშუალებას მხარეებმა განახორციელონ ელექტრონული ხელმოწერა კრიპტოგრაფიულად დაცული წესით და რომლის შედეგად გენერირდება ელექტრონული დოკუმენტი.

ელექტრონული დოკუმენტი - ელექტრონული ფორმით შენახული ტექსტობრივი, ხმოვანი, ვიზუალური ან აუდიოვიზუალური ინფორმაციის ან/და მონაცემთა ერთობლიობა.

მატერიალური დოკუმენტი - ქაღალდის ან სხვა მატერიალური ფორმით წარდგენილი ინფორმაციის ან/და მონაცემთა ერთობლიობა.

მონაცემთა დამუშავება - ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება.

პერსონალური მონაცემი (მონაცემი) - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

ბიომეტრიული მონაცემი - ფიზიკური, ფსიქიკური ან ქცევის მახასიათებელი, რომელიც უნიკალური და მუდმივია თითოეული ფიზიკური პირისათვის და რომლითაც შესაძლებელია ამ პირის იდენტიფიცირება.

ვინაიდან, საქართველოს კანონმდებლობით ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონულ ხელმოწერას აქვს მატერიალური დოკუმენტისა და პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა, თუ მხარეთა შორის არსებობს შესაბამისი შეთანხმება;

ვინაიდან, ოპერატორის მიზანია ახალი ტექნოლოგიების დანერგვით გაამარტივოს და დახვეწოს აბონენტებთან ურთიერთობის წესები, მხარეები ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ოპერატორი და აბონენტი დოკუმენტების, მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტების (ხელშეკრულებების, შეთანხმებების, განცხადებების, თანხმობების, მიღება-ჩაბარების აქტების და სხვ...) გაფორმებისას (ხელმოწერისას) გამოიყენებენ ხელმოწერის ტაბლეტს ან ოპერატორის მიერ შეთავაზებულ სხვა სახის ელექტრონული ხელმოწერის, თუ თანხმობის ელექტრონული/დისტანციური ფორმით გამოხატვის საშუალებას.

2. აბონენტის მიერ ხელმოწერის ტაბლეტით ან სხვა სახით შესრულებულ ელექტრონულ ხელმოწერას/დადასტურებას და ამ საშუალებით შექმნილ ელექტრონულ დოკუმენტს ენიჭება/აქვს პირადი ხელმოწერისა და მატერიალური დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა.

3. ოპერატორთან ურთიერთობისას აბონენტის მიერ ელექტრონული ხელმოწერით გაფორმებული ელექტრონული დოკუმენტის გამოყენება შესაძლებელია ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს კანონმდებლობა მოითხოვს მატერიალური დოკუმენტის ფორმას;

4. აბონენტისთვის ცნობილია, რომ ოპერატორი მის პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს „კონფიდენციალურობის პოლიტიკის" შესაბამისად („კონფიდენციალურობის პოლიტიკა" განთავსებულია ოპერატორის ვებგვერდზე - www.magticom.ge). ამასთან, იგი აცხადებს თანხმობას „კონფიდენციალურობის პოლიტიკის" პირობებით მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. ამასთან, აბონენტი თანახმაა, რომ ოპერატორის საქმიანობის ფარგლებში აბონენტის პერსონალური მონაცემები, მაგალითად: მისი ვინაობა, პირადი ნომერი, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია, ისევე როგორც მის ხელმოწერასთან დაკავშირებული ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება განხორციელდეს ოპერატორის ან/და ოპერატორის მიერ საამისოდ უფლებამოსილი სუბიექტის მიერ. ელექტრონული ხელმოწერის განსახორციელებლად გამოყენებული სისტემების ფუნქციონირებისათვის, მათ შორის, ელექტრონული ხელმოწერის ავთენტურობის და უტყუარობის დასადგენად, ოპერატორი უფლებამოსილია თავად ან/და მესამე პირის მეშვეობით განახორციელოს აბონენტის პერსონალური მონაცემების დამუშავება, რაც ასევე გულისხმობს აბონენტის თანხმობას მისი ბიომეტრიული მონაცემების (ხელმოწერის) დამუშავებაზე.

5. აბონენტს ნებისმიერ დროს უფლება აქვს მოითხოვოს მისი პერსონალური მონაცემების და ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების შეწყვეტა, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს აბონენტისათვის ოპერატორის მიერ მომსახურებების შეწყვეტა ან შეჩერება.

6. ოპერატორს უფლება აქვს პერიოდულად შეცვალოს აბონენტთან ურთიერთობების ფარგლებში ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის გამოყენების წესი.